„ვამტკიცებ”

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

---------------------

20 ნოემბერი 2023 წ.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## შოთა ჩოჩიშვილის სახელობის საქართველოს ჩემპიონატი

თელავი

2023

26 - 29 დეკემბერი

## I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

## II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად.
- საქართველოს ჩემპიონატზე ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციიდან მოწვეული იქნება შეჯიბრების კომისარი, რომლის სახელფასო ანაზღაურებას, ავიაბილეთს, სასტუმროში განთავსებასა და კვებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად.

## III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრებში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ვაჟი ძიუდოისტები, რომლებსაც უკვე შეუსრულდათ ან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით უსრულდებათ 18 წელი.
- 

## IV. შეჯიბრების ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის დროს.
- შეჯიბრება ჩატარდება 2023 წლის 27-29 დეკემბერს თელავში, სპორტის სასახლეში.
- შეჯიბრებაზე ჩამოსვლის დღე – 26 დეკემბერი, წასვლის დღე – 30 დეკემბერი.
- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (http://gjf.ge/geo/calendar/georgia) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი – 1234 . რეგისტრაცია დაიწყება 1 დეკემბერს და დასრულდება 22 დეკემბერს.
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც რეგისტრაციის დასრულებამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- 24 დეკემბერს ფედერაციის საიტზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.
- შეჯიბრების დასაწყისი 10:00.

## V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 7 წონით კატეგორიაში: -60კგ; -66კგ; -73კგ; -81კგ; -90კგ; -100კგ; +100 კგ;
- პირველი დღე - 27 დეკემბერი: -60კგ; -66კგ;
- მეორე დღე - 28 დეკემბერი: -73კგ, -81კგ;
- მესამე დღე - 29 დეკემბერი: -90კგ, -100კგ, +100კგ.

აწონვები ჩატარდება თელავში:

26 დეკემბერი: -60კგ; -66კგ.
არაოფიციალური 16:00 – 17:00 საათამდე;
ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

27 დეკემბერი: -73კგ, -81კგ.
არაოფიციალური 16:00 – 17:00 საათამდე;
ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

28 დეკემბერი: -90კგ, -100კგ, +100კგ.
არაოფიციალური 16:00 – 17:00 საათამდე;
ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

## VI. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

## VII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება და სხვა) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, დაცვის სამსახური, მედპერსონალის ხელფასი, გამარჯვებულთა დაჯილდოვება და სხვა) უზრუნველყოფს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და საორგანიზაციო კომიტეტი.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 51 64 66;

ელექტრონული მისამართი: judofedgeo@gmail.com

საკონტაქტო პირი – ზურაბ უსუფაშვილი 577 99 44 07

**P.S.**

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დისციპლინარული დარღვევის შემთხვევაში, ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს სპორტსმენთა მიერ მიღწეული შედეგის ანულირებაზე.
- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა ლურჯი და თეთრი ფერის კიმანოს ქონა.

ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ათაბეგაშვილი